მოწყობილობის დანიშნულება

ელექტრო ქურა განკუთვნილია საკვების მოსამზადებლად და მზა საკვები პროდუქტებისა თუ კერძების გასაცხელებლად.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის კვების წყაროსთან მიერთებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის პარამეტრები შეესაბამება მის ტექნიკურ მახასიათებლებს.
- მოწყობილობა უნდა განთავსდეს სწორ, მყარ და მშრალ ზედაპირზე.
- შეაერთეთ მოწყობილობა ცალკე როზეტში. არ გამოიყენოთ გადამყვანები ან დამაგრძელებლები, რადგან მათმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გადახურება და აალება.
- მოწყობილობის ელექტროქსელში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ მასზე არ არის ხილული დაზიანებები. არ სცადოთ გაუმართავი მოწყობილობის კვების წყაროსთან მიერთება.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- ხილული დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, არ გამოიყენოთ მოწყობილობა. დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ქსელიდან და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- არ შეიტანოთ არანაირი ცვლილება მოწყობილობის კონსტრუქციაში.
- არ გამოიყენოთ მოცემული მოწყობილობა წყლის წყაროებთან უშუალო სიახლოვეს. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და არ ჩადოთ იგი წყალში.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ.
- გამორთეთ მოწყობილობა კვების ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე გაწმენდის წინ.
- მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მასზე ჭურჭლის განთავსების შემთხვევაში.
- სამზარეულოს ჭურჭელი, მისი ზომის მიუხედავად, არ უნდა სცილდებოდეს კონფორის (გამაცხელებელი ზედაპირის) ფარგლებს.
- მუშაობის პროცესში მოწყობილობის ზოგიერთი ნაწილი ძლიერად ცხელდება. არ შეეხოთ ცხელ ზედაპირებს.
- გამოიყენეთ მოწყობილობა ცეცხლგამძლე ზედაპირებზე.
- არ დაქაჩოთ და არ გადააადგილოთ მოწყობილობა კვების კაბელით. არ გადაკეცოთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო. ასევე, არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე, მისი შეხება ცხელ ზედაპირებთან ან ბასრ კუთხეებთან.
- ხანძრის რისკის თავიდან ასაცილებლად, არ განათავსოთ მოწყობილობა ადვილად აალებადი სითხეების, მასალებისა და ობიექტების (მაგალითად, ფარდების) უშუალო სიახლოვეს.
- ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, არ გამოიყენოთ წყალი ცეცხლის ჩასაქრობად. გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, შემდეგ კი დააფარეთ ალს ცეცხლმაქრი გადასაფარებელი.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.